ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 282

ქალაქი ქუთაისი 24 ივნისი 2020 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის ანგარიში
2019 წელს გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ
წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2020 წლის 24 ივნისის
№ 282 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის ანგარიში
2019 წელს გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს დასკვნებს და შემდგომში მიღების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

კომისია შედგება 10 წევრისაგან.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2020 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ ყველა სამუშაო შეხვედრაში, ყველა სამსახურთან მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისია, აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, ამზადებს შესაბამის დასკვნებსა და შენიშვნებს.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2019 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე ხდება ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების განვლილი პერიოდის საქმიანობისა და სამომავლო პერსპექტივების განხილვა. წინასწარ ცნობილი განრიგის მიხედვით, ანგარიშვალდებული ორგანოები კომისიაში წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც ეგზავნება კომისიის წევრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, 2019 წელს, მოწვეული და ჩატარებულ იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 16 სხდომა, განხილულია 33 საკითხი.

ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის არცერთი სხდომა ჩაშლილი, ან გადადებული არ ყოფილა. ყველა მათგანზე იყო მოწვეული აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ იმსჯელა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1. განიხილა 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები და წარადგინა შესაბამისი წინადადებები;

2. მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ და მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას;

3. კომისიამ 2019 წლის 22 ნოემბერს განიხილა 2020 წლის ბიუჯეტის პირველი ვარიანტი, მოამზადა დასკვნა, წინადადებები და რეკომენდაციები;

4. კომისიამ 2019 წლის 24 დეკემბერს განიხილა 2020 წლის ბიუჯეტის შესწორებული, კორექტირებული ვარიანტი, მოამზადა დასკვნა და მისცა მას რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად;

5. განხილულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობები და მათი მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა;

6. სისტემატურად ხდებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება, რაც აისახა კომისიის სამუშაო გეგმაში;

7. მოსმენილ იქნა თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი“. მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა შესაბამისი დასკვნა;

2. „ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი (2020–2023)“. მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა შესაბამისი დასკვნა;

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტები. სულ განხილულია 11 ცვლილება. ყველა მათგანზე მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა შესაბამისი დასკვნები;

4. შეფასდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018 წლის შესრულების მდგომარეობა. მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა შესაბამისი დასკვნა;

5. შეფასდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის, ორი კვარტლის და სამი კვარტლის შესრულების მდგომარეობა;

6. განხილულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ 2019 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების მიმდინარეობა;

7. კომისიამ საკრებულოს განსახილველად წარუდგინა 3 სამართლებრივი აქტის პროექტი. სამივე პროექტზე მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია: 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებულ სამუშაოებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა; საკრებულოსათვის დასკვნების წარდგენა მის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება (მათ მიერ ცალკეული პროგრამების განხორციელების მიმართულებით); ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა-გაანალიზება შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით; ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31-ე სხდომაზე, 2020 წლის 24 ივნისს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, კახაბერ ბოჭორიშვილის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია